

---

## სამართლებრივი ტენდენციები

### ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებები და მათი გადასინჯვა

სოფიო ჩაჩავა\*

2002 წლის 2-3 დეკემბერს თბილისში ჩატარდა მოსამართლეთა რეგიონალური კონფერენცია თემაზე – „ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებები და მათი გადასინჯვა“. აღნიშნული კონფერენცია მოეწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ინიციატივითა და გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) რეგიონალური პროექტის – „სასამართლოსა და იუსტიციის რეფორმების მხარდაჭერა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში“<sup>1</sup> – ხელშეწყობით.

კონფერენციის მიზანს წარმოადგენდა სხვადასხვა ქვეყნის სასამართლოების წინაშე არსებული პრობლემების გაანალიზება და მათი დაძლევის გზების ძიება. კერძოდ, ყურადღება გამახვილდა ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების გადასინჯვასთან დაკავშირებული გამოცდილების გაზიარებაზე. ოთხი ქვეყნის (გერმანიის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს) მოსამართლეების გარდა, კონფერენციაში მონაწილეობდნენ ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ადვოკატები და პროკურატურის თანამშრომლები.

ქვემოთ წარმოდგენილია ზოგიერთი მომხსენებლის მიერ წამოჭრილი საკითხების მოკლე მიმოხილვა და კონფერენციის მონაწილეთა რეკომენდაციები.

#### 1. სასამართლო გადაწყვეტილებათა გადასინჯვა და სამართლებრივი სახელმწიფო (მომხსენებელი ლადო ჭანტურია)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ლადო ჭანტურია მიიჩნევს, რომ საზედამხედველო წესით სასამართლო გადაწყვეტილებების გადასინჯვის მექანიზმი „საბჭოთა გადმონაშთია“, რომელსაც საბჭოთა პერიოდის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებდა. ამასთან, აღნიშნული შესაძლებლობა არ უნდა ჩაითვალოს მოქალაქის (დაზარალებულის) უფლებების დაცვის დამატებით გარანტიად, რადგანაც სწორედ საზედამხედველო წესით განხილვის შედეგად შედიოდა ძალაში სასამართლოს არასწორი, უსამართლო გადაწყვეტილებები. ამას შესაბამისი წლების სასამართლო პრაქტიკაც თვალნათლივ ადასტურებს. ამჟამად საქართველოში მოქალაქეთა უფლებები გარანტირებულია სასამართლო სისტემით, რომელიც ითვალისწინებს სააპელაციო და შემდგომ საკასაციო წესით გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას. ამგვარად, „აღნიშნული სისტემა სრულ შესაბამისობაშია ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მოთხოვნებთან“.

\* გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) რეგიონალური პროექტის – „სასამართლოს და იუსტიციის რეფორმების მხარდაჭერა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში“ – იურისტი, თსუ-ის ევროპული სამართლის მაგისტრატურის ლექტორი.

<sup>1</sup> პროექტი დაარსდა 2001 წელს და წარმოადგენს გერმანიის ფედერაციის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების მინისტრის, ჰაიდელბერგის ვიჩორეკ-ცილიის „კავკასიის ინიციატივის“ იდეის ხორცშესხმას.

სასამართლო გადაწყვეტილებების საზედამხედველო წესით გადასინჯვის მექანიზმის აუცილებლობას, ძირითადად, ასაბუთებენ იმ არგუმენტით, რომ მისი მეშვეობით შესაძლებელია ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებაში დაშვებული შეცდომის გამოსწორება.

ამასთან, საზედამხედველო წარმოების მომხრეთა პოზიციას ამყარებს ის გარემოება, რომ ხშირად გვხვდება პრაქტიკაში სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული უკანონო გადაწყვეტილებები, როდესაც დაზარალებულმა მხარემ არ გამოიყენა ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების უფლება. ასეთ შემთხვევაში სასამართლო და სახელმწიფო უძღურია, რადგანაც გასაჩივრების უფლებას მხოლოდ პროცესის მონაწილენი ფლობენ და მისი გადაცემა სხვა პირზე ან სახელმწიფო ორგანოებზე დაუშვებელია.

თუმცა, თუ ათვლის წერტილად ავიღებთ იმ არგუმენტს, რომ მოსამართლეებიც ადამიანები არიან და მათი შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობა უნდა არსებობდეს, იბადება კითხვა, თუ ვინ უნდა გამოასწოროს საზედამხედველო წესით გადასინჯვის სტადიაზე დაშვებული შეცდომა? თუ მოსამართლემ, როგორც ადამიანმა, შეიძლება ნებისმიერ საფეხურზე დაუშვას შეცდომა, რისკი იმისა, რომ იგი შეცდომას საზედამხედველო წარმოების სტადიაზეც დაუშვებს, დიდია. ეს კი, უდავოდ, საზედამხედველო წარმოების არსებობის სანინააღმდეგო არგუმენტს წარმოადგენს.

საზედამხედველო წარმოების პრაქტიკამ გამოიწვია სასამართლო პროცესების უსაფუძვლო გაჭიანურება, „რაც შეიძლება შეფასებულ იქნეს ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევად“. შესაბამისად, „სასამართლოს გადაწყვეტილებათა გადასინჯვის ინსტიტუტმა შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშაც კი დააყენოს სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობა“.

**2. მოსამართლეთა დამოუკიდებლობა (მომხსენებელი ჰაინ ბილინგი)**

ბრემენის მიწის (ლანდის) სასამართლოს კოლეგიის თავმჯდომარის, ჰაინ ბილინგის მოხსენება შეეხო მოსამართლეთა დამოუკიდებლობის საკითხს. იგი სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას ნებისმიერი სასამართლო პროცესის ლოგიკურ დასასრულად მიიჩნევს, რაც „სამართლებრივ საზოგადოებაში თავისთავად ღირებულებას წარმოადგენს“. დავის გადაწყვეტის შედეგად მხარეებს შორის უნდა დაისადგუროს „სამართლებრივმა მშვიდობამ“.

სასამართლოს მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილებით ყოველთვის რჩება ერთი მხარე უკმაყოფილო. მთავარია, რომ მოდავე მხარეები პატივისცემითა და ნდობით იყვნენ განწყობილი მოსამართლეთა და, შესაბამისად, სასამართლოს მიმართ. ასეთ შემთხვევაში ის მხარეც კი, რომელიც უკმაყოფილოა კონკრეტული სასამართლოს გადაწყვეტილებით, ცნობს აღნიშნულ გადაწყვეტილებას, თუ აღიარებს და ნდობას უცხადებს მოცემული სახელმწიფოს სასამართლო სისტემას. მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გაძლიერება სამართლებრივ სახელმწიფოში სასამართლო სისტემის ნორმალური მუშაობის აუცილებელი პირობაა. აღნიშნულ პრინციპს (მოსამართლის დამოუკიდებლობას) ეფუძნება პირველ რიგში პროცესის მონაწილეთა ნდობა სასამართლოს მიმართ.

მოსამართლის დამოუკიდებლობა მისთვის დიდი პასუხისმგებლობაა. მას გაცნობიერებული აქვს, რომ მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება სავალდებულო და ხშირად საბოლოოა. ეს გარემოება მოსამართლის პასუხისმგებლობის გრძნობას აძლიერებს და აიძულებს მას, გამოიტანოს სწორი და კანონიერი გადაწყვეტილება. მოსამართლის დამოუკიდებლობის ინსტიტუტის არსებობა კი მხოლოდ მაშინ არის ეფექტიანი, თუ იგი გამყარებული და გარანტირებულია კონსტიტუციით და შესაბამისი კანონით.

მოსამართლეთა მიმართ უსაფუძვლო პრეტენზიების თავიდან აცილების გარანტიას პირველ რიგში ქვეყნის კანონმდებლობა უნდა ქმნიდეს. კერძოდ, უნდა მოწესრიგდეს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების გადასინჯვის შესაძლებლობათა მკაცრად ამომწურავი

ნუსხა. გერმანიის კანონმდებლობა გვაძლევს ამ გარემოებათა ამომწურავ ნუსხას, რაც სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობას უზრუნველყოფს და, ამავე დროს, იცავს სასამართლოს დაუსაბუთებელი პრეტენზიებისა და დაუსრულებელი პროცესებისაგან.

**3. სასამართლო გადაწყვეტილებათა გადასინჯვის გერმანული გამოცდილება (მომხსენებელი ვოლფგანგ გოლასოვსკი)**

ბრემნის მიწის სასამართლოს თავმჯდომარის ვოლფგანგ გოლასოვსკის აზრით, ძალაში შესული გადაწყვეტილება, როგორც წესი, არ შეიძლება გაუქმდეს ან შეიცვალოს, მიუხედავად იმისა, მცდარი იგი თუ არა. ამასთან, გერმანიის კანონმდებლობა აწესრიგებს იმ გარემოებათა ამომწურავ ნუსხას, რომელთა არსებობისას შეიძლება დადგეს კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებათა გადასინჯვის საკითხი.

პირველ რიგში ეს ის შემთხვევაა, როდესაც გასაჩივრების უფლების მქონე მხარემ არაბრალეულად გაუშვა გასაჩივრების ვადა.

აგრეთვე, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვა დასაშვებია იმ გარემოებათა არსებობის შემთხვევაში, რომლებსაც ემყარებოდა გადაწყვეტილება (მაგალითად, აღიმენტის თანხის შეცვლა აღიმენტის გადამხდელი პირის ფინანსური მდგომარეობის შეცვლასთან დაკავშირებით), ე.წ. შეცვლის სარჩელი (*Abänderungsklage*).

გარდა ამისა, გერმანიის კანონმდებლობა ითვალისწინებს საქმის წარმოების განახლებისა და, შესაბამისად, ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნის შესაძლებლობას ბათილობის სარჩელით (*Nichtigkeitsklage*) და რესტიტუციული სარჩელით (*Restitutionsklage*).

ბათილობის მოთხოვნის საფუძველს ქმნის ისეთი გარემოების არსებობა, როგორცაა, მაგალითად: კანონით გათვალისწინებული წესის დარღვევით წარმოდგენილი სასამართლოს შემადგენლობა (მაგალითად, საქმის განმხილველ კოლეგიაში მოსამართლეთა არასაკმარისი რაოდენობა); პროცესში იმ მოსამართლის მონაწილეობა, რომელიც არ იყო უფლებამოსილი, მონაწილეობა მიუღო საქმის განხილვაში, ან არაობიექტურობის გამო ჩამოცილებულ იქნა საქმეს; წარმომადგენლობის ხარვეზი (მხარე პროცესში არ იყო წარმოდგენილი კანონის მოთხოვნათა დაცვით).

სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა ასევე მაშინ, როდესაც არსებობს რესტიტუციული სარჩელის საფუძველები. ეს ისეთი შემთხვევებია, როდესაც გადაწყვეტილება დამყარებულ იქნა საქმეში არსებულ ყალბ დოკუმენტზე, პროცესის მონაწილის (მათ შორის მონმის) ცრუ ჩვენებაზე, ასევე საქმის წარმოებისას აღინიშნა მოტყუება, იძულება ან თავისუფლების აღკვეთა, მოსამართლის დასჯადი ქმედება. გარდა ამისა, რესტიტუციული სარჩელი დასაშვებია, თუ გაუქმდა ის გადაწყვეტილება, რომელსაც ეყრდნობა მოცემული გადაწყვეტილება; იმავე საქმეზე არსებობს (აღმოჩენილია) სასამართლოს სხვა გადაწყვეტილება ან აღმოჩენილ იქნა ახალი დოკუმენტები.

ბათილობის თუ რესტიტუციული სარჩელის სასამართლოში წარდგენის ხანდაზმულობის ვადა განისაზღვრება ერთი თვით წარმოების განახლების გამომწვევი გარემოების გამოვლენის დღიდან, თუმცა საქმის წარმოების განახლება გამორიცხულია, თუ სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანიდან ხუთი წელია გასული.

გამონაკლისის სახით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გადასინჯვა შეიძლება მოხდეს, თუ იგი ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს. სასამართლო პრაქტიკამ აღნიშნული დასაშვებად მიიჩნია მომხმარებელთა უფლების დაცვის მიზნით (მაგალითად, თუ სესხის ხელშეკრულება შეუსაბამოდ მაღალ პროცენტს ითვალისწინებს, ხოლო კრედიტორმა სასამართლოში გამარტივებული წარმოების წესით მოიპოვა გადახდის ბრძანება).

დაბოლოს, სასამართლოს ძალაში შესული გადაწყვეტილების გადასინჯვა დასაშვებია, აგრეთვე, საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით დაირღვა პროცესის მონაწილეთა კონსტიტუციური უფლება.

სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გადასინჯვის მოთხოვნის უფლება უფლებამოსილ მხარეს ენიჭება კანონმდებლობით ზუსტად განსაზღვრულ ვიწრო ჩარჩოებში და, შესაბამისად, სასამართლო მას განიხილავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ზემოთ ჩამოთვლილი, კანონით ზუსტად განსაზღვრული წინაპირობები (სარჩელის დასაშვებობის საფუძველი).

**4. სამოსამართლო სამართალი (მომხსენებელი კარლმან გაისი)**

გერმანიის უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის, *კარლმან გაისის* მოხსენებაში ყურადღება ძირითადად გამახვილდა სამოსამართლო სამართალზე, რაც საქართველოში ამ ეტაპზე ნაკლებად განვითარებულია.

კანონის ხარვეზების, ისევე როგორც მოუწესრიგებელი სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა უბიძგებს მოსამართლეს სამართალშემოქმედებითი მოღვაწეობისაკენ. სამოსამართლო სამართალმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში ისე, რომ იგი ფაქტობრივად, პარლამენტის კანონებთან ერთად, სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ახალ წყაროდ იქცა.

მოსამართლეს არ აქვს უფლება, უარი თქვას გადაწყვეტილების მიღებაზე იმ მოტივით, რომ კანონი არ აწესრიგებს კონკრეტულ ურთიერთობას. შესაბამისად, კანონმდებლობის სასამართლო პრაქტიკით (განმარტებებით) შევსება მოსამართლის უფლება კი არა, ხშირ შემთხვევაში მოვალეობაცაა.

შესაბამისად, როგორც გერმანიის, ასევე საფრანგეთის სამართლებრივ გარემოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ეჭვს აღარ იწვევს სამოსამართლო სამართლის არსებობის აუცილებლობა. უფრო მეტიც, დღეისათვის სამოსამართლო სამართალი უკვე სასწავლო მეთოდის კლასიკური თემაა. დისკუსიის საგანი მხოლოდ ის გახლავთ, თუ „როგორ“ და „რა ფარგლებში“ უნდა იყოს დასაშვები სამოსამართლო სამართალი.

სამოსამართლო სამართალი ვიწრო გაგებით ისეთ შემთხვევაშია სასიცოცხლოდ აუცილებელი, როდესაც კანონი დუმს და, შესაბამისად, კანონის კლასიკურ განმარტებათა მეთოდები (როგორიცაა: სიტყვასიტყვითი, გრამატიკული, სისტემური, ტელეოლოგიური და სხვ.) კონკრეტული პრობლემის გადაჭრაში ვერ გვეხმარება, რადგან კანონი ამის საშუალებას არ იძლევა.

სამართლის მეთოდოლოგიაში შესაბამისად ჩამოყალიბდა „სამართალშემოქმედებითი“ სამოსამართლო სამართალი ანალოგიის სახით. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს ისეთ სამოსამართლო სამართალთან, რომელიც სცილდება კანონის ფარგლებს. მისი ფართო ჩარჩოებში არსებობის მონიწილმდეგენი თავიანთ მოსაზრებას ასაბუთებენ იმ არგუმენტით, რომ აღნიშნულის დაშვება არღვევს დემოკრატიის პრინციპს, კერძოდ კი ეწინააღმდეგება ხელისუფლების დანაწილების პრინციპს და ასუსტებს უფლებამოსილებათა ზუსტ დანაწილებას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლების დანაწილების პრინციპი არ გამორიცხავს სამოსამართლო სამართლის არსებობას, თუ მოსამართლის გადაწყვეტილება ზოგადი, მისთვის კანონით თუ სამართლებრივი სისტემით მინიჭებული და აღიარებული სამართლებრივი პრინციპების ფარგლებშია მიღებული.

სამოსამართლო სამართლის განვითარება უდავოდ დადებითი მოვლენაა და თანამედროვე სამართლებრივი სისტემისათვის წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ.

კონფერენციაზე მოხსენებებით გამოვიდნენ და დისკუსიაში აქტიურად მონაწილეობდნენ ასევე კოლეგები სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. კონფერენციის მსვლელობაში უფრო ნათლად წარმოჩნდა მეზობელ სახელმწიფოებში არსებული პრობლემების სიახლოვე.

**5. კონფერენციის მონაწილეთა მიერ შემუშავებული რეკომენდაციები**

2002 წლის 2-3 დეკემბერს მოსამართლეებმა სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, გერმანიიდან და საქართველოდან იმსჯელეს პრობლემაზე: „ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებები და მათი გადასინჯვა“ და შეიმუშავეს შემდეგი რეკომენდაციები:

1. სასამართლო პროცესებზე საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს არა უმეტეს სამ ინსტანციად. აღნიშნულზე უფრო მეტი კონტროლი სასამართლო გადაწყვეტილებებზე, როგორც ეს იყო საბჭოთა სამართალში, აღარ უნდა არსებობდეს.

2. საქმის განხილვა სასამართლოს ბოლო ინსტანციაში უნდა ეფუძნებოდეს შეჯიბრებითობის პრინციპს, მაგრამ იგი უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ სამართლებრივი საკითხების შეფასებით. თუ ასეთი წარმოების დროს გამოირკვევა, რომ ფაქტობრივი გარემოებები ქვედა ინსტანციაში ერთაზროვნადაა დადგენილი, სასამართლოს უნდა ჰქონდეს უფლება და ვალდებულება, საქმეზე თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება. საქმის უკან დაბრუნება ქვედა ინსტანციის სასამართლოებისათვის ეწინააღმდეგება პროცესის ეკონომიურობის პრინციპს და ამიტომ აღნიშნულისაგან ქვედა ინსტანციებშიც უნდა მოხდეს თავის არიდება.

3. ყოველი მოსამართლის თავისთავადი და მნიშვნელოვანი ამოცანაა კანონის განმარტება. ასეთი განმარტება უნდა მოხდეს საქმის განხილვისას. განსხვავება ოფიციალურსა და არაოფიციალურ განმარტებას შორის, რაც მიღებული იყო საბჭოთა სისტემაში, ისევე როგორც განმარტების კომპეტენციის დელეგირება განსაკუთრებულ, პროცესის გარეთ მდგომ ორგანოებზე, ეწინააღმდეგება სამართლებრივი სახელმწიფოს საფუძვლებს და მასზე უარი უნდა ითქვას.

4. ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-6 მუხლში მოცემული ვალდებულება საბოლოო გადაწყვეტილების გონივრულ ვადაში მიღების თაობაზე, რაც შესაძლებელს ხდის ეფექტიანი პროცესის წარმართვას და ამავედროულად ინვესტის მის შეუფერხებელ დასასრულს, აღიარებულია მნიშვნელოვან წვლილად სამართლებრივი მშვიდობის დამყარებაში.

5. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ მოსახლეობის ღარიბი ფენებისათვის ფინანსური მიზეზების გამო სასამართლოსათვის მიმართვა (მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა) არ იყოს შეუძლებელი.